

პროგრამის სახელწოდება

ელექტროსამონტაჟო სამუშაოები



პროგრამის სახე : მომზადება

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 13 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15 საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: არ აქვს

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება

პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს კონკრეტული ცოდნისა და უნარების მქონე კვალიფიციური კადრი, რომელიც შეძლებს დაბალი ძაბვის ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულებას საყოფაცხოვრებო და საწარმოო გარემოში. შეძლებს ელექტრული წრედების, ელექტრო მანქანებისა და დანადგარების და განათების მონტაჟსა და შემოწმებას შრომის უსაფრთხოების უახლესი რეგულაციების გათვალისწინებით.

პროგრამის მოკლე აღწერა:

ელექტროსამონტაჟო სამუშაოების პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები ელექტროობაში და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით. პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა. პროფესიული გადამზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა

დასაქმებისაკენ.სწავლების განხორციელება შესაძლებელია ორგვარი მიდგომით:

- პროფესიული მომზადების პროგრამა ხორციელდება დაწესებულებაში და ყველა სწავლის შედეგი მიიღწევა დაწესებულებაში
- პროფესიული მომზადების პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით. კერძოდ, ზოგიერთი სწავლების შედეგი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში

სწავლება განხორციელდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

სწავლის შედეგები (აღინიშნება ცოდნით და უნარით)

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საინჟინრო კომპონენტების ხაზვა
- სამუშაო გარემოში საფრთხეების აღწერა
- რისკების შეფასება და შემთხვევით და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების განმარტება
- მუდმივი დენის წრედის პარამეტრების გაზომვა
- ტევადობის და გამტარობის საფუძვლების პარამეტრების გამოთვლა
- ცვლადი დენის პარამეტრების გამოთვლა
- ელექტრული სქემის მიხედვით მასალების შერჩევა
- ელექტრული წრედებში, დაცვის მეთოდების და პროცედურების გამოყენება
- განათების და ძალოვანი წრედების მონტაჟი და შემოწმება საყოფაცხოვრებო და საწარმოო გარემოში
- ელექტროენერჯიის წარმოშობის მეთოდების აღწერა
- გამტარების, იზოლატორების და მაგნიტური მასალების აღწერა
- ელექტროობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების პრინციპების აღწერა

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

- შპს "ანაგი"
- შპს „ჯეო ბილდერი“

დასაქმების სფერო/სფეროები:

- ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა (ფართო სფერო)